



ერთ-ერთი ქალაქის საბინაო სამმართველოს უფროსი — ხვალ საანგარიშო მოხსენება მაქვს და თითვე
 ძაფი უემაბი, რომ ბინების საკითხი არ გამომჩრჩეს.



პატიოსანი გოგონა

1940 წელს სოფ. ვაჭიროში მეხი ჩამოვარდა. სხვა დროსაც მომხდარა მსგავსი რამ, მაგრამ გავუვლია, წასულა, დავიწყებას მისცემია. ეს ახალი მეხი კი დღესაც ცეცხლს აფრქვევს, ვადაბუჯვით იმუქრება. უცნაური ის არის, რომ მეხი ყველას ერთნაირად არ ერჩის. ფულიანთან დაწყნარებულია, მშვიდი და თავაზიანი. უფულოსთან გულქვაა, შეუბრალებელი.

თავდაპირველად მეხი სოფელს ანგელოზის სახით მოველინა. ჯანმრთელებს ჯანის შენარჩუნებას დაპირდა, სუსტებს—განკურნებას. ალუთქვა, რომ მახვილით აღგვიდა ავადმყოფობას. ბოლოს ვისკენ მიმართა ეს მახვილი, ამაზე ქვემოთ ვილაპარაკოთ. ახლა კი გეტყვით, რომ მეხი ჩია ტანის ქალია. პატარაა ტანითაც და გულითაც. სახელად ნინო ჰქვია, გვარად—თუშიშვილი, თავის თავს „თუშიანთს“ ეძახის. ხშირად იკვებნის თუშიანთ ქალი უძლეველობას. იკვებნის, რომ ორი გროვი არსად დაუხარჯავს და ორი სახლი კი აქვს. დანა არ უხმარია, არც ხანჯალი, ხალხის ცოდო კი კისერზე აწვეს. მაგრამ ვინ რა დააკლ! კიდევაც რომ ვერაფერს დააკლებენ, რადგან მფარველები სიღნაღის გალავანივით გარს შემორტყვიან.

ცდება ჭი თუშიანთ ქალი. არის ხოლმე წუთი, როცა სიღნაღის გალავანი კი არა, ჩინეთის კედელიც ვერას გიშველის.

ჰოდა, თუშიშვილსაც დაუდგა ეს წუთი. — მოგვაშორეთ ვაიექიმი! — ერთხმად დაიქუხეს ვაჭირებმა კოლმეურნეებმა, ერთხმად დაადასტურეს, რომ ექიმი თუშიშვილი ავადმყოფებს საავადმყოფოში არ ღებულობს, სახლში იბარებს, ან თვითონ ეწვევა და იქ ფულს ართმევს. დაადასტურეს, მაგრამ შედეგი? შედეგი ჯერჯერობით ის არის, რომ თუშიანთ ქალი ისევ ისე მაგრად ზის თავის ადგილას, ბატონობს, და აი, ერთ-ერთი მაგალითი მისი ბატონობისა.

ანიკო დემეტრაშვილმა ბავშვი საავადმყოფოში მიიყვანა. ექთანმა ბავშვს სიცხე გაუსინჯა 39,7° აღინიშნა თერმომეტრზე. სწორედ ამ დროს თუშიანთ ქალიც იქ გაჩნდა, დედა-შვილი გარეთ გამოაგდო. მეორე დღეს თვითონ მივიდა ავადმყოფთან. მაგრამ თუშიანთ ქალს, თურმე, სულ სხვა კუჭის წვა ჰქონია: კირისუფალს 25 მანეთი გამოართვა. მერე საავადმყოფოში გაიქცა და 39,7°—36,5 გრადუსად გადააკეთა.

იქნებ ეს მაგალითი მაგალითად არ ვარგა? მეორეს მოვიყვანო.


ერთს თოვლიანულთან ზამთარს შალვა ყოჩიაშვილის მეუღლეს ნაადრევად მოხიარობა დაეწყო. ექიმმა ქვა ააგდო და თავი შეუშვია: თავში ქვაც რომ იხალოთ, და შუაზედაც რომ გასკდეთ, ქალი საავადმყოფოში უნდა აიყვანოთო. ავადმყოფის ადგილიდან დაძვრა კი არ შეიძლებოდა. კარგა ხვეწნის შემდეგ ექიმმა შალვასთან ექთანს გაგზავნა, თან შეუთვალა: ჩემს თანაშემწეს ხეალ დილით 150 მანეთი მიეციო (ნაცადი ხერხია; ვაჭრობა რაც დიღბანს გრძელდება, ფასიც იმდენად მაღლა იწვეს).

შმოხიარობა გართულდა. შალვა ისევ საავადმყოფოში მივიდა. აი, აქ კი ნამდვილ მეხად იქცა „გაბებრებული“ თუშიშვილი, გალანდა და გამოაგდო შალვა. ამან მაინც არ დაიშალა და ახლა სახლში მიეჭრა ექიმს. აქ უკვე ხერხი იხმარა თუშიანთ ქალმა, ოთახში ჩაიკეტა, სინათლე ჩააქრო და იმ მელას დაემსგავსა, ბუნავში რომ თავს დამალავს და კუდს გარეთ სტოვებს.

არც ესა კმარა?! მაშ იმასაც გეტყვით, ექიმმა თუშიშვილმა წყველით რომ გამოაგდო ავადმყოფები: დათა ნანობაშვილი, ანიკო იასეშვილი, ფორე ნარეკლიშვილი, გიორგი ბალანაშვილი და რა ვიცი, კიდევ რამდენი ავადმყოფი მოვთვლო.

თავს გავიდა თუშიანთ ქალი. ერთ დღეს საავადმყოფო სულ დაკეტა, შემა თავის ეზოში გადაიტანა, მიუჯდა ბუხარს და გვერდები მიფუცხა. სამსონ ენგოიანს ბავშვს გაუხდა ავად. ხუთ დღე სდია ენგოიანმა ექიმს, ეხვეწებოდა: ნუ დამლუბავ, შენს მიმკურნალო, მაგრამ უფულო ექიმისათვის ვერ გაიკარა. ავადმყოფობა სხვებსაც გადაედო და უკვე 5 ბავშვი ჩაწვა ლოჯინში.

ნახ. გ. ფირცხალავასი



56

ორ დედოფლას შუა

ექიმი მეორე სოფლიდან გამოიწვიეს; მაგრამ გვიანლა იყო... უმცროს ბავშვს ველარაფერი ეშველა.

ალბათ იტყვიან, ეს შემთხვევა ნამდვილად ქუაზე მოიყვანდა ექიმ თუშიშვილსო. მაშ ყური მივღეთ:

ვაჭირელი კოლმეურნი ივანე სიყმაშვილი უცებ გახდა ავად. თუშიშვილთან მეზობელი აფრინეს, ასე და ასე, გვიშველეთო. თქვენც არ მომიკვდეთ, ექიმმა ფეხიც არ მოიკვალა ადგილიდან... შინ ქეიფი ჰქონდა, თამადაც თვითონ იყო და როგორ მოიტკლიდა?! ივანე სიყმაშვილს ექიმის უშურადღებობას ემსხვერპლა.

დაფაქურდა თუშიშვილი. იფიქრა, არ შემარჩენო, გაჩაჩხა საქმე და ყალბი ბიულეტენით „ავად გახდა“. მალე სულ გადაიკარგა ვაჭირიდან, 10 დღეს არ გამოჩენილა, საავადმყოფო და ავადმყოფები ბედის ანაბარად იყვნენ მიტოვებულნი.

სწორედ აქ აღიმალა ხალხმა ხმა და სიღნაღის რაისაბუქოს აღმასკომის გადაწყვეტილებით „ნატანჯი“ ექიმი სამუშაოდან გაათავისუფლეს. ალბათ იმედი ჰქონდათ, გაათავისუფლებით, ჩვენც გაათავისუფლებით და ავადმყოფებსაც ავიბედისგან ვიხსნითო, მაგრამ აქ ისეთი „მაგრამ“ მოხდა, რომ თუშიშვილის ოინებს ამ ოინთან შედარებით ბავშვურ თამაშად ჩასთვლიან; საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში თუშიანთ ქალს შინაურები აღმოუჩნდნენ და „განაწყენებული“ ექიმი ძველ ადგილას დააბრუნეს. სულ რაღაც ორი თვის დასვენება მოასწარეს ვაჭირებმა, რომელთაც ეს ოინი სიცილადაც ეყოთ და ტირილადაც.

ამ ორ თვეს, თუშიანთ ქალმა თბილისს შეაფარა თავი (საქმესაც აქედან ჩარხავდა), „თავის“ სახლში ეძინა, ზარბაზნის ქუჩაზე № 27-ში. თუმცა, ვინ არ იცის, რომ ნინო თუშიშვილი სოფ. ვაჭირის მცხოვრებია, სახლი იქა აქვს და კარი, ვენახი, საკარმიდამო ნაკვეთი, კომლანო სიაშიც ირიცხება და იქ მარტო თვითონ ცხოვრობს. მაშ თბილისში ბინა საიდან? ეს მისი ქმრის ზაქარია მკედლიშვილის ბინაა, რომელიც ამ 5 წლის წინ გარდაიცვალა, ბინა კი თუშიანთ ქალმა ჩაქეტა. თუმცა რას ვამბობ, დაკეტული რად ექნება, დროდადრო იქ სტუდენტებს ასახლებს ქირით.

ესეც გაუგეს თუშიშვილს. საქმე მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახ. სასამართლოში აღიძრა

და გაიჩა. დატრიალდა თუშიშვილი და ქვის გამხეთქი ცნობები მიიტანა სასამართლოში. ქვა კი ვერ გახეთქა, მაგრამ იმდენი მოახერხა, რომ... ბინა დაიტოვა თბილისშიც, ვაჭირშიც.

ყველა ამ ცნობებიდან, ერთი ცნობა განსაკუთრებული და უცნაურია თავისი შინაარსით, თუმცა სრულიად საკმარისი იმისათვის, რომ სასამართლო შეცდომაში შევიდეს. საქ. სსრ ჯანდაცვის სამინისტროს კადრების სამმართველოს უფროსი ჯაფარიძე ატყობინებს მოლოტოვის რაიონის მე-3 უბნის სახ. სასამართლოს, რომ „ექიმი ნ. ნ. თუშიშვილი-მკედლიშვილისა ნამდვილად გაგზავნილია სამუშაოდ დროებით სიღნაღის რაიონში და ამჟამად იმყოფება დახელოვნებაზე ქ. თბილისში. სპეციალიზაციის დასრულების შემდეგ განდგომილი იქნება ქ. თბილისში, ან განთავისუფლებული“. ცნობასაც თვითონ აწერს ხელს, თარიღსაც უსვამს—4 თებერვალი, 1955 წელი, № 7/849.

თვალის ახვევა თუ გინდათ, ეს არის. საიდან იწინასწარმეტყველა ჯაფარიძემ, რომ თუშიშვილს თბილისში გადმოიყვანენ, ან სულ გაანთავისუფლებენ? ან ეს დროებით სამუშაოდ გაგზავნა რაღას ნიშნავს, როცა თუშიშვილი 1941 წლიდან დღემდე სოფ. ვაჭირში მუშაობს? იქნებ კადრების სამმართველოს უფროსი ჯაფარიძეს ის ჰქონდა მხედველობაში, რომ ყველანი ამ ქვეყნის დროებითი „კადრი“ ვართ და ცას არავინ შევაბერდებით. ამ გაგებით ხომ თვითონ ჯაფარიძეც სამინისტროს დროებითი მუშაკი გამოდის!

ასეც მოხდა, თუშიშვილი არც სამუშაოდან განთავისუფლებულა და არც თბილისში გადმოყვანიათ. ის დღესაც ვაჭირის საავადმყოფოშია და, ეტყობა, რომ „სპეციალიზაციის დასრულების შემდეგ“ განსაკუთრებით დასპეციალებულა... ლანძღვა-გინების სფეროში.

— მე თუშიანთს მეძახიან! — კვლავ იკვებნის იგი. და როცა მისი „ექიმობით“ უკმაყოფილო პაციენტი კარს მიადგება, სწორედ აქ იჩენს თავს მეხის ძალა და საავადმყოფოს დერეფანში ორთქლმავლის კივილივით გაისმის ქალის ხმა:

— დაეთხარათ თუ არა თვალები! არა, თქვე ოხრებო, რომ მიჩივლეთ, რა დამაკელით? წაბრძანდით და ახლაც იჩივლეთ; ორი სახლი მაქვს, რომელი მისამართით მიპოვით?!

მართლაც, ნეტავ რომელ სახლში მისწვდებიან ექიმ თუშიშვილს?

„საბჭოთაოებები“ და „კლუბოებები“

ქვემოთ ჩამოთვლილი სასამართლო დადგენილებანი, როგორც მკითხველი თა-
ვიდან დანახავს, ბათუმში მცხოვრებ მოქ. ერმილე მიქავას ბინას შეეხება. ს. მიქავას
საბინაო სამმართველო ბინაში დროებით საცხოვრებლად შეუსახლა მოქალაქე სიზოვა.
რაპლენიძე ხნის შემდეგ მოქ. სიზოვა გარდაიცვალა. ამ ხნის განმავლობაში საბინაო
სამმართველო მოახერხა ოთახის გადაფორმება სიზოვას სახელზე და გასხვისებულ
ოთახში აღმოჩნდა ახალი მოქალაქე—დუშინა. საქმე, როგორც წესია, სასამართლოში
მოხვდა. გარჩიეს საქმე, გამოარჩიეს, გადაწყვიტეს, დაადგინეს... თუმცა გადავხედოთ
უფრო დადგენილებებს:

«...პრეზიდიუმმა და ა დ გ ი ნ ა :

ქალ. ბათუმის 1-ლი უბნის სახ. სასამართლოს 1954 წლის 1-2/IX დადგენი-
ლება და აჭარის უმაღლეს სასამართლოს 1954 წლის 29 სექტემბრის დადგენილება
ამ საქმეზე გაუქმდეს და საქმე ხელახლად განსახილველად გადაეცეს ქალ. ბათუმის
4 უბნის სახ. სასამართლოს».

ხელახლა კი:

«...სასამართლომ იხელმძღვანელა სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 17/18
დადგენილების 23 მუხლით და გადაწყვიტა:

საბინაო სამმართველოს წარმოდგენილი¹ სარჩელზე ერმილე დიმიტრის-ძე მიქა-
ვას გორკის ქ. № 37-დან გამოსახლებაზე უსაფუძვლობის გამო უარი ეთქვას».

უარის თქმა კი დაადასტურა უმაღლეს სასამართლოს კოლეგიამ:

«...აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლოს კოლეგიამ და ა დ გ ი ნ ა :

ქალ. ბათუმის 4—უბნის სახ. სასამართლოს 1954 წ. 17 დეკემბრის დადგენილე-
ბა ამ საქმეზე დარჩეს ძალაში».

მაგრამ შემდგომ ინსტანციაში საქმის ხელახლა გარჩევამ ახალი იერი მიიღო:

«...სასამართლომ და ა დ გ ი ნ ა :

მაძიებელ ერმილე დიმიტრის-ძე მიქავას ძიებაზე ნადეჟდა ეტეფანეს-ასულ დუ-
შინას ბინიდან გამოსახლებაზე უარი ეთქვას. ვალდებული გახდეს მოპასუხე საბინაო
სამმართველო პირველ შესაძლებლობისთანავე დააკმაყოფილოს ნადეჟდა ეტეფანეს-ასუ-
ლი დუშინა საცხოვრებელი ბინით, რის შემდეგ სადავო ბინა დაურჩეს მაძიებელ ერმი-
ლე დიმიტრის-ძე მიქავას».

ამის შემდეგ შემდეგმა კოლეგიამ ცოტაოდენი «ხათრი გაუწია» მოქ. ე. მიქავას:

«...კოლეგიამ და ა დ გ ი ნ ა :

«ქ. ბათუმის 3-უბნის სახ. სასამართლოს 1955 წლის 25 იანვრის გადაწყვეტი-
ლება აღნიშნულ საქმეზე დარჩეს ძალაში შესწორებით, ერმილე დიმიტრის-ძე მიქავას
სარჩელი საბინაო სამმართველოსა და ნადეჟდა ეტეფანეს-ასულ დუშინასთან ბინიდან
გამოსახლებაზე დაკმაყოფილდეს. ვალდებული გახდეს საბინაო სამმართველო უზრუნ-
ველყოს ნ. ხ. დუშინა სამაგიერო შესაფერისი ბინით 1955 წ. 1-ელ აპრილამდე».

აქ ცოტა ხანს შევისვენოთ, მკითხველო, რადგან საქმეში პირველი აპრილი
გაერია.

გაერია და როგორ გაერია!

მცირე ხნის შემდეგ «აჭარის ავტონ. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
უმაღლეს სასამართლოს პრეზიდიუმმა და ა დ გ ი ნ ა :

«ქ. ბათუმის პირველი უბნის სახალხო სასამართლოს 1954 წლის 17 დეკემბრის
გადაწყვეტილება და აჭარის ასრ უმაღლეს სასამართლოს 1955 წლის 14 იანვრის
დადგენილება ამ საქმეზე გაუქმდეს და არსებითი გადაწყვეტილებით «სარჩელი დაკ-
მაყოფილდეს ერმილე დიმიტრის-ძე მიქავა გამოსახლებულ იქნას სადავო ოთახიდან და
ბინა ჩაბარდეს საბინაო სამმართველოს, აგრეთვე გაუქმდეს ქ. ბათუმის 3 უბნის სა-
ხალხო სასამართლოს 1955 წლის 11 თებერვლის დადგენილება და არსებითი გადა-
წყვეტილებით ერმილე მიქავას სარჩელში მოქ. დუშინას გამოსახლებაზე უარი ეთქვას».

რა მოხდაო, იკითხავს მკითხველი, განა ისეთი რა გარემოება შეიტანა პირველმა
აპრილმა სასამართლოს საქმეშიო.

იკითხავს და ვუბასუსებთ.

პირველი აპრილი აქ უკვე აღარაფერ შუაშია, საქმეში ახალი გარემოება შეი-
ტანა ბათუმის საბინაო სამმართველოს ყოფილმა უფროსმა ამხ. ჭანიშვილმა, რომელ-
მაც სასამართლოში წლობით სიარულისა და მოქ. მიქავას «დღინში ჩაყოლის» შემდეგ
საიდანაც აღმოჩინა:

«გადაწყვეტილება № 1016.—

მ/დ. ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომისა 1949 წელი 10 მაისი.

ჩატარებული შემოწმებით გამოირკვა, რომ ქალაქის საბინაო სამმართველოს ბი-
ნებში ზოგიერთი მობინადრეებს უჭირავთ ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი დაწესე-
ბულ საბინაო ნორმებთან შედარებით განცალკევებულ ოთახის სახით. აღნიშნული მო-
ბინადრეების მიერ ღელმდე საბინაო ფართობი გამოუყენებელია.

სსრკ ცაკისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილების მე-27—
მუხლის საფუძველზე მ/დ. ბათუმის საქალაქო საბჭო ა დ გ ე ნ ს :

ჩამოერთვას ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი განცალკევებულ ოთახის სახით
შემდეგ მობინადრეებს:

1. მიქავა ერმილე დიმიტრის-ძეს, მცხ. გორკის ქ. № 37—, ერთი ოთახი ფარ-
თით 13,5 კვ. მეტრი, რომლის ოჯახი შესდგება სამი სულისაგან უჭირავს სამი ოთახი
ფართით 43,6 კვ. მეტრი და ჩამორთმევის შემდეგ მის სარგებლობაში დარჩეს ორი
ოთახი 30 კვ. მეტრი...»

ამის შემდეგ მოქ. ე. მიქავას სასამართლო საქმე კვლავ დასერიწობს სასამართ-
ლოდან სასამართლოში, ბათუმიდან თბილისში, თბილისიდან ბათუმში, იღვრება ოფ-
ლი, იხარჯება მელანი, ფუჭდება ქაღალდი, ახალაღმოჩენილ «ქვის გამხეთქ» დადგე-
ნილებას «ცუდად» ვერავენ ეხება და არავინ არ ღებულობს მხედველობაში შემდეგ
გარემოებებს:

1. თუ ნამდვილად არსებობდა ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ასეთი
გადაწყვეტილება, სად იყო ბათუმის საბინაო სამმართველო წლების განმავლობაში?


2. როგორ უნდა მიეღო აღნიშნული გადაწყვეტილება ბათუმის საქალაქო საბ-
ჭოს აღმასკომს, როცა მოქ. ერმილე მიქავას არ ჰქონია ზედმეტი საცხოვრებელი ფარ-
თობი? მისი ბინის კვადრატურა შეადგენდა ნამდვილად 39 მეტრს და ამდენი ფარ-
თობი კი მოქ. ე. მიქავას ოჯახს უსათუოდ ეკუთვნოდა საბჭოთა კანონით.

3. ქალაქის საბჭოს აღმასკომის ეს გადაწყვეტილება თუ ნამდვილად არსებობ-
და, რატომ იმას მინც არ უკვირდებოდა სასამართლო ორგანოები, რომ მან (საქალა-
ქო საბჭოს აღმასკომმა) მას (სასამართლო ორგანოს) ფუნქცია წაართვა? თუ ზედმეტი
ფართობი ექნებოდა მოქ. ე. მიქავას, ბინიდან იგი უნდა გამოეხსნებინა არა ქალაქის
საბჭოს აღმასკომს, არამედ სასამართლო ორგანოებს, სამი თვით ადრე გაერთიანებე-
სა და სათანადო დადგენილების მიღების შემდეგ.

4. თუ არა სასამართლო ორგანოები, ვინ უნდა სცემდეს პატივს საბჭოთა კანონს,
რომლის დარღვევის უფლებაც არასოდეს არ ჰქონია ბათუმის საქალაქო საბჭოს?

ვნახოთ რას იტყვის მორიგი დადგენილება.

1) მართლწერა ყველგან სასამართლო ორგანოებისა.



— სად გარბინარ, ნიკა?
— კლუბში. თითი გავიჭერი და აბლაბუდა უნდა დავიღო.



სიკუდაკაბის მონა

— კაბინეტი აბლაბუდებით გამევსო, როგორ მოვაქციე ველი თქვენს მითითებას..

„თბილისის“ ოფიციალტი: („ინტურისტის“ ოფიციალტი) რა დამძარული გამოიყურები, აქტი ხომ არავე შეგიდგინა?

„ინტურისტის“ ოფიციალტი: თუ ძმა ხარ, ნუ მეკითხები, დანა კბილს არ მიხსნის.

„თბილისის“ ოფიციალტი: ვამაგებო, კაცო, რა მოხდა?

„ინტურისტის“ ოფიციალტი: მე რომ სიზმარი ვნახე, შენს მტერს იმისთანა.

„თბილისის“ ოფიციალტი: მაინც რა?

„ინტურისტის“ ოფიციალტი: გვეხებო, შენ ხარ ჩემი ბატონი და, ვწევარ ჩემთვის ლოგინში და ტკბილ ძილში ვარ, რომ ამ დროს ვითომ... დილას... ესე იგი ნაშუადღევს სამ საათზე გამოცხადდი სამსახურში იმ ჩემს რესტორანში... გამოცხადდი, შენ ხარ ჩემი ბატონი, შევედი და რას ვხედავ... ვითომ იმ კუთხეში, ახლა რომ მაგიდაა, მიდგმულია სალარო, შიგ ზის ერთი წამწამებარეხილი გოგო და წინ უდგას მაშინა, ჩეკებს რო ბეჭდავს, იმისთანა...

„თბილისის“ ოფიციალტი: შე კაცო, მე რაცა მეგონა. მოლარე, რა ვუყოთ, ახლა არა გვყავს თუ? ფულის კასაც უდგას და ჩეკების საბეჭდიც, მაგრა...

„ინტურისტის“ ოფიციალტი: ჯერ დამაცა, სადა ხარ. მაგ რაე ვადმომიტრიალებდა გულს. გვეხებო, შენ ხარ ჩემი ბატონი. და, ამ გოგოს უდევს

წინ ჩეკების ბლანკები, ვეუბნები, გამომიწერე ჩქარა სამი ბორწი, სამი ბიტკი, ერთი ბოთლი ღვინო, სამი პური, ერთი კიტრი-თქვა და ამ გოგომ აიღო ის ბლანკი, ჩადა ამ მაშინაში, დაწვაპუნა და ყველაფერი დაიბეჭდა ამ ბლანკზე, რაც იყო შეკვეთილი ისიც, რაც ღირდა ისიც და საბოლოო ჯამში, რაც იყო დანახარჯი, ისიც. ერთი კაბეიკი არ იყო მეტი, ესაო, მითხრა ამ გოგომ, მომხმარებელს მიეცი, ისინი ამის მიხედვით გადავიხდიან ფულს.

„თბილისის“ ოფიციალტი: ქალაღზე დაიბეჭდა? რას მეუბნები? მაგ შეუძლებელია!

„ინტურისტის“ ოფიციალტი: შე კაცო, რაა შეუძლებელი!

„თბილისის“ ოფიციალტი: შეუძლებელია. იმისთანა მაშინა თუ გამოიგონეს, რომელიც ანგარიშის ჯამს სწორად დაბეჭდავს, მაშინ თუ გადაეცვიფდებით ყველა ოფიციალტი წყალში, თორემ მეტი გზა არ არის. გუშინწინ ერთ სუფრაზე ნახარჯი ას სამოცი მანეთი იყო და ორას ოთხმოცი გამოიყვანე. პარტიოსანი ხალხი შემხვდა და ხმა არ გოუღიათ, ისე გადაიხადეს...

„ინტურისტის“ ოფიციალტი: მაგ მეც კი ვიცი, რაფერ კეთდება, მარა მართლა რო ამისთანა მაშინა გამეიგონონ, მაშინ რაღას შევბი? ჰოდა, რო დავინახე ის მაშინა და ეს რო გვეიფიქრე ძილში, ვაი ცოლო და შეილოთქვა, ერთი კი ვიყვირე და უცბათ გამომეღვიძა. დედა, რაფერ გამეხარდა, როცა მივხვდი, რომ სიზმარში ვყოფილვარ. ასე მეგონა მეორედ დავიბადე-მეთქი და ერთი საათი სულელივით ვიციინოდი სიხარულით. მარა... მერე რო დავეიქრდი... ისევე შემომაწვა გულზე. ბიჭო, ქვეყნის მაშინებს იგონებენ, სადაცა მგონია მოვარეზე გადაფრინდნენ და ამისთანა მაშინის გამოგონება რაეა გაუქირდება...

„თბილისის“ ოფიციალტი: აჰ, არ მოგეკვდეს ანგოლისტე, მაგ არავინ გამოიგონოს. მაგ კი არა, უბრალოთ: მაგისთანა ანგარიშებისათვის წესიერი ბლანკები რო დაბეჭდო, შიგ ხელითაც ჩაწერო ანგარიში და კასაში შემოწმებული მიართვა მომხმარებელს, ესეც კი სიკვდილი იქნებოდა ჩვენისთანა ხელცივი ადამიანებისათვის, მარა მაგასაც კი არავინ აკეთებს.

„ინტურისტის“ ოფიციალტი: (შიშით მიმოიხედა) კარგი ერთი, თუ ძმა ხარ, რაღეს ლაპარაკობ, არავინ გაიგონოს და მართლა არ მოუვიდეთ ჭკუაში მაგისთანა რამე... ვთქვათ მაგნაირად დანომრილი ჩეკები შემოიღეს, ეს ჩეკები დაგირიგდება ხელმოწერით, როგორც მაგალითად ტრანსპაის კონდუქტორებს აძლევდნ ბილეთებს, ისე. ჩეიღებ ჯიბეში მაგისთანა ჩეკს და რო მიიღებ შეკვეთას, ჩაიწერ შენთვის. ორ ცალად უნდა იწერებოდეს. რო გაათავა მომხმარებელმა ვახშამი, შენც ჩაწერილი გაქ რაც მიართვი, იანგარიშე თავიდან ბოლომდე, შეაჯამე, დაწერე ეს ყველაფერი, საასლე ქალაღლით კი ასლი მეორე ბლანკზე იწერება, ერთი მომხმარებელს მიეცი, მეორე სალაროში ინახება. ამ ქვითრებით შემდეგ შეიმოწმებენ, რამდენი ივაჭრა რესტორანმა...

„თბილისის“ ოფიციალტი: შე რჯულდაღლო, მე მაჩუმებდი და შენ ლაპარაკობ? მაგრე რო მოხდეს მაშინ ხომ... დედა, მიშეეღეთ, ხო დევილუბეთ მაშინ!.. (მიიხედ-მოიხედა) შე ოჯახქორო, მართლა რო ვინმე გაიგონოს ეს ჩენი ლაპარაკი, ჩაიწეროს, ვახეთში გაწეროს, მერე ვინმეს მართლა დაუჯდეს ჭკუაში და აღრიცხვა ამგვარად მოაწყოს რესტორანებში...

„ინტურისტის“ ოფიციალტი: ეჰ, მაგ შეუძლებელია, ჩემო...

„თბილისის“ ოფიციალტი: რაა შეუძლებელი? დაბეჭდავენ მაგისთანა დანომრილ ჩეკებს, თუ ის არ გექნა, ისე ვაქრობის ნებას არ მოგცემენ, იმას კიდე რავარც ტროლებიუსის ბილეთს...

„ინტურისტის“ ოფიციალტი: (ტუჩზე ხელი მიიფარა) სსუუ... სხვა რამეზე ილაპარაკე, შე რჯულდაღლო, მართლა არავინ გაგვიგონოს.

ვაიგონა და ჩაწერა ა. ბელიაშვილმა



ნახატი—ხუმრობა ე. მაყაშვილისა

— რევიზორი ფერმის გამგესთან კარგად იყო, მის ქათმებს კი სულ კბილებით ჭამდა.

— ქმარს ცოლი სახლში არ უჯდებოდა, გარეთ კი ძვირად უჯდებოდა.

— ცირკში მაყურებელს თვალებს უხვევდნენ და აბა ნომრებს როგორ გამოიცილებდნენ?

— მესაფლავეს ორივე ფეხი სამარეში ედგა და წუთისოფელს მაინც ტკბილად ატარებდა.

— დარბაზი პიანისტს დასაკვრელად იწვევდა, ის კი გამოდიოდა და მხოლოდ თავს უკრავდა...

— სტუმარს დარჩენაზე სული მისდიოდა, მასპინძელს კი— გული.

— მომღერალმაც დაიწყო ნალბანდობა: ყურები მიჰქონდა და მაგრად ჭედავდა.

— გოჭს მზარეულით აშინებდნენ და ყურებზე ხახვი არ დამატრასო.

შეადგინა ა. თაყაიშვილმა

ნიანგის ღაქსიკონი

საინი—ცივი იარაღი ოჯახური უსიამოვნების დროს.
კიხერი—სკამი არ არის, უხეირო შვილი მაინც მოხერხებულად ჯდება.

პროსპექტი — ფართო ქუჩაა, ვიწროგონებიანთათვის დღედაღამ სასეირნოდ გამოსადეგი.

კაუჩუკი—ბრაზილიურად ხის ცრემლს ნიშნავს, ჩვენებურად მოდასგადაყოლილის მშობლების ცრემლს.


ანტრაქტი — დროის მონაკვეთი, განკუთვნილი უხეირო სპექტაკლზე აშლილი ნერვების დასაწყნარებლად.

შეადგინა გ. შანჯიკიძემ



ნიანგის ღაქსიკონი

ნახ. ზ. გოგოლაძისა



გაუხვამს კი იმის...

ძია, რა ღირს მანეთიანი ნაყინი?

ნახ. ზ. გოგოლაძისა



—რა ბედნიერი ხარ, ალბერტ, ყოველ ექვს თვეში თმის დახვევა მაწამებს.
—ეჰ, ჩემო ალისა, შენ უფრო ბედნიერი ყოფილხარ, მე ერთ თვესაც ძლივს მკაფუნის დახვევა.

- დედა, „პრიმას“ თავი დავანებე.
- კარგი ბიჭი ხარ, რა გიყიღო საჩუქრად?
- „ყაზბეგი“

რედაქტორი—ვანტანგ ჭელიძე.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, თ. გიგინეიშვილი, ვ. თორდუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.

თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკიურული ჟურნალი «ნიანგი». რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 3-10-49.

გამომც. № 9, ხელმოწ. დასაბ. 15/V-1956 წ. ქალ. ზომა 70 x 108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37. ფერადი ბეჭდვის სტამბა, მარჯანიშვილის ქ. № 5. შეკვ. № 517. უფ. 04068. ტირ. 25.000.

— ათი წელია ჩვენ სახლმმართველად მუშაობ, თუ ძმა ხარ, ამოდი, ერთხელ მაინც დამილოცე ფუძე და ჰერი.
— რას ამბობ, კაცო, წვრილი ცოლ-შვილის პატრონი ვარ!

ქართული
ბიზნესი

